ადმინისტრაციული შენობის მაღალი ძაბვის სარეზერვო გადამცემი ხაზის მონტაჟის საუკეთესო პროექტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის“ საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი **#2**

9 ოქტომბერი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

**კომისიის თავმჯდომარე:**
დირექტორის მოადგილე – **ავთანდილ მიქანაძე**

**კომისიის წევრები:**
ეკონომიკური სამსახურის უფროსი – **თამარ მაისურაძე**
შესყიდვების კოორდინატორი – **ლევან ედილაშვილი**
მოწვეული სპეციალისტი - **ზურაბ ნემსაძე**

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა ლოჯისტიკის მენეჯერი - მიხეილ ყუფარაძე, იმყოფება მივლინებაში.

**დღის წესრიგი:**

სსიპ _ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის საკონკურსო კომისიის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 13 სექტემბერს გამოცხადებული **#946** კონკურსის შედეგების განხილვა.

**განხილვა:**

საკონკურსო კომისიის წევრმა ლევან ედილაშვილმა მოახსენა საკონკურსო კომისიას, რომ საკონკურსო წინადადების მიღება იწყებოდა 2013 წლის 16 სექტემბერს და მთავრდებოდა 2013 წლის 4 ოქტომბერს. 2013 წლის 3 ოქტომბერს საკონკურსო წინადადება დალუქულ პაკეტში წარმოადგინა შპს „ენერგოპროექტი 2009“-მ. აღინიშნა, რომ შპს „ენერგოპროექტი 2009“-ის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებაში არ არის წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის 2.5 პუნქტით მოთხოვნილი პროექტის კონცეპტუალური გადაწყვეტა, ესკიზური პროექტი (რენდერები) 3D ვიზუალიზაციები და ფოტომონტაჟი, ასევე აღინიშნა, რომ შპს „ენერგოპროექტი 2009“-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეესაბამება საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტის მოთხოვნას, კერძოდ არასწორად არის მითითებული 2013 წლის 02 ოქტომბრის საგადახდო დავალების #1-ის გადახდის დანიშნულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონკურსო კომისიამ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, განახორციელა შპს „ენერგოპროექტი 2009“-ის დისკვალიფიკაცია.

**კომისიამ დაადგინა:**

1. განხორციელდეს შპს „ენერგოპროექტი 2009“-ის დისკვალიფიკაცია კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე.

2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 13 სექტემბერს გამოცხადებული **#946** კონკურსი დასრულებული იქნეს უაროფითი შედეგით.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (contest@procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს **#946** მიენიჭოს სტატუსი - **კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.**

4. აღნიშნული გადაწყვეტილება ეცნობოს მონაწილე კონკურსანტს.

**კომისიის თავმჯდომარე:**

დირექტორის მოადგილე – **ავთანდილ მიქანაძე**

**კომისიის წევრები:**

ეკონომიკური სამსახურის უფროსი – **თამარ მაისურაძე**

შესყიდვების კოორდინატორი – **ლევან ედილაშვილი**

მოწვეული სპეციალისტი - **ზურაბ ნემსაძე**